

ადამიანთა უსაფრთხოების
მდგომარეობა

– 2008 წ. აგვისტოსთვის შედეგად
დაზარალებულ
ე.წ. სასაზღვრე სოფლებში

მონიტორინგის სოფლებში გუგუტიანთქარი,	შედეგები - ერბნეთი, კოშკა, კარბი	ბორის ტყვიანი, კარბი	რაიონის მერეთი.
--	---	----------------------------	--------------------

ივლისი-ოქტომბერი 2009

29 ოქტომბერი, 2009

თბილისი, საქართველო

რას ვგულისხმობთ ადამიანთა უსაფრთხოებაში

დღევანდელ დღეს ისევ გრძელდება დისკუსია იმის თაობაზე, თუ რა არის ადამიანთა უსაფრთხოება და როგორია მისი შემადგენელი კომპონენტები. სხვადასხვა საერთაშორისო თუ სამთავრობოთშორის ორგანიზაციას ამ საკითხზე განსხვავებული მიდგომა აქვს შემუშავებული.

გაერო-ს განვითარების პროგრამა (UNDP) ადამიანთა უსაფრთხოების მიმართულების კვლევისას ეყრდნობა 7 კომპონენტს: ეკონომიკური, სასურსათო, ჯანმრთელობა, გარემო, პერსონალური, პოლიტიკური და სათემო/სოციალური უსაფრთხოება. ამათგან, ყველი კომპონენტი ეფუძნება კონკრეტულ პრობლემას¹.

- ეკონომიკური უსაფრთხოება გამოწვეული სიღარიბით;
- სასურსათო უსაფრთხოება გამოწვეული შიმშილითა და ნახევრადშიმშილით;
- ჯანმრთელობის უსაფრთხოება გამოწვეული დაზიანებებითა და დაავადებებით;
- გარემოს უსაფრთხოება გამოწვეული დაბინძურებით, გარემოს დეგრადაციითა და გამოფიტვით;
- პირადი უსაფრთხოება გამოწვეული ძალადობის სხვადასხვა ფორმით;
- პოლიტიკური უსაფრთხოება გამოწვეული პოლიტიკური რეპრესიებით;
- სათემო/სოციალური უსაფრთხოება გამოწვეული სოციალური არეულობებით, არასტაბილურობით

მაგალითად, ჟორჯ ნეფი² აღწერს ხუთ ურთიერთდაკავშირებულ ქვესისტემას ადამიანთა უსაფრთხოებაში: ეკოსისტემა, ეკონომიკა, საზოგადოება, ხელისუფლება და კულტურა.

¹ United Nations Development Programme, 1994, 'New Dimensions of Human Security', *Human Development Report 1994*, New York, Oxford University Press

² J. Nef, 2003, *Human Security and Mutual Vulnerability, The Global Political Economy of Development and Underdevelopment* (second edition), Ottawa, IDRC Books

ადამიანთა უსაფრთხოების ფართო კონცეფციაში მესამე, განსაკუთრებული მნიშვნელობის ატრიბუტია პირდაპირი ფოკუსი წევრთა (ლიდერების, ინდივიდების) ძირითად შემადგენლობაზე. ეს მნიშვნელოვანია, რათა გაემიჯნოთ ცნებები “ადამიანთა უსაფრთხოება” და “ადამიანის განვითარება”. ეს უკანასკნელი უფრო მეტად დაკავშირებულია “კარგ(ად) ყოფასთან (ყოფნასთან)”, ვიდრე “სასწრაფო, კრიტიკულ მდგომარეობასთან”.

ადამიანთა უსაფრთხოების დამოუკიდებელი კომისია³, რომელიც შეიქმნა იაპონიის მთავრობის ინიციატივით, პრიორიტეტულად აყენებს ადამიანთა უსაფრთხოების ფოკუსის მიმართვას წევრთა (ლიდერების, ინდივიდების) ძირითად შემადგენლობაზე, მათ შეფასებაზე და არა ზიანის გამომწვევ პრობლემაზე. ნაცვლად იმისა, რომ კომისიას წარედგინა პრობლემათა მოგვარების გზების სია, მან დაადგინა მთავარი კრიტერიუმი, რომ როგორც კი პრობლემა წევრთა ძირითადი შემადგენლობის მხრიდან წამოიწია, ის უნდა იდენტიფიცირდეს და მოგვარდეს, როგორც ადამიანთა უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი. კომისია აგრეთვე აღგენს, რომ შესაბამისი ინსტიტუტები და ორგანიზაციები, რა თქმა უნდა, ვერ დაიცავენ ხალხს ყველა შესაძლო ზიანისაგან, მაგრამ მათ აუცილებლად უნდა მიახლოდნენ დიდი მნიშვნელობა ყველა იმ საკითხს, რომელიც შეიძლება არც კი იყოს ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი.

არსებობს უსაფრთხოების ტრადიციული და ადამიანთა უსაფრთხოების⁴ გაგება. ტრადიციული უსაფრთხოება ეხება სახელმწიფოს მთლიანობას. ადამიანთა უსაფრთხოება კი გულისხმობს ინდივიდს, ადამიანს, ადამიანთა ჯგუფს, მის/მათ მთლიანობას, რომელიც დგას დაავადებათა, სიღარიბის, ძალადობის, ნაღმების, ადამიანის უფლებათა შელახვისა და ზეწოლის პრობლემათა წინაშე, ან უკვე განიცდის მათ.

ზემოთ მოყვანილი სამი მიდგომის მიმოხილვის შემდეგ უფრო ნათელი ხდება ადამიანთა უსაფრთხოების ფართო კონცეფცია, რომელიც უნდა მიჯნავდეს მის

³ Commission on Human Security, 2003, *Human Security Now: The Human Security Commission Report*, New York, at <www.humansecurity-chs.org/>.

⁴ HUMAN RIGHTS, HUMAN SECURITY AND DISARMAMENT, 2004

შემადგენელ კომპონენტებს უსაფრთხოების სხვადასხვა ტიპებისაგან, რათა შეეძლოთ მათი ცალ-ცალკე გიდენტიფიცირება და შემდეგ ყურადღების გამახვილება.

ამ მიდგომაში უსაფრთხოების სტრატეგიის ფოკუსი ადამიანია და არა სახელმწიფო. ადამიანთა უსაფრთხოებამ უნდა უზრუნველყოს ადამიანის, ინდივიდის და თემის, საზოგადოების ფიზიკური დაცვა და მთლიანობა და არა გარეშე საფრთხეებისაგან საზღვრების გამაგრება. ადამიანთა უსაფრთხოების სტრატეგიები პროაქტიურია და არა რეაქტიური.

და ბოლოს, ადამიანთა უსაფრთხოების საკითხით შეგვიძლია როგორც სახელმწიფოს უსაფრთხოების გაზომვა, ასევე, იმავდროულად ის მის განმსაზღვრელს წარმოადგენს.

**მონიტორინგის შედეგები ე.წ. სასაზღვრე სოფლებში:
ერგნეთი⁵, ტყვიავი, მერეთი⁶, გუგუტიანთკარი⁷,
კოშკა⁸, კარბი⁹**

⁵ დღეს არსებული ოფიციალური ინფორმაციით, სოფელ ერგნეთში მოსახლეობა დღეის მდგომარეობით შეადგენს 183 ოჯახს. სოფელში ასევე ცხოვრობს 24 დევნილი ოჯახი, ეს ოჯახებია I (პირველი) ეტაპის დევნილები ცხინვალიდან.

2009 წლის ივლისი-ოქტომბრის მდგომარეობით

სოფელი მერეთი

*“ნეტა, იარაღი მომცა . . .” (სოფელი მერეთის 18 წლის მკვიდრი)
“იმედის მომცემი კაცი არ არის” (ბაიაძე კოლია 87 წლის)*

სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთები და საქონელი

სოფლის მცხოვრებლების მთავარ პრობლემად რჩება ოსური მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დარჩენილ, სოფლიდან 200-300 მეტრით დაშორებულ მათი კუთვნილ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებში შესვლა. მიუხედავად ამისა, ის ადამიანები ვისი ბაღებიც სასაზღვრო ზოლის მიღმა დარჩა, დროდადრო მაინც გადადიან საკუთარ ნაკვეთში, თუმცა ხშირ შემთხვევაში ხდებიან ოსური მხარის მუქარისა და ძალადობის მსხვერპლი. როგორც გაირკვა, მერეთში საქონლის გატაცების შემთხვევებიც ხშირია.

როგორც ჩვენთან საუბრისას 18 წლის ახალგაზრდამ თქვა - რომ არა ჩვენი პოლიციის მკაცრი გაფრთხილება, ოსური მხარის მხრიდან წამოსული პროვოკაციების თავიდან აცილებასთან დაკავშირებით, იგი იარაღს აიღებდა და გაყრიდა ოსებს თავისი კუთვნილი ნაკვეთებიდან.

შემოსავლები, პენსია

საპენსიო ასაკის მოსახლეობას მერეთში პენსიის აღების პრობლემა არ აქვს. თვეში ერთხელ პენსიონერი იღებს კუთვნილ პენსიას. აგვისტოს ომამდე მოსახლეობისთვის შემოსავლის ერთადერთ წყაროს სასოფლო სამეურნეო საქმიანობა წარმოადგენდა. დღეს კი კუთვნილი ბაღების დიდი ნაწილი ოსური მხარეს აქვს დაკავებული.

⁶ დღეს არსებული ოფიციალური ინფორმაციით სოფელ მერეთში 445 ოჯახია, 1125 სული;

⁷ დღეს არსებული ოფიციალური ინფორმაციით, სოფელ გუგუტიანთკარში – 76 ოჯახია, 229 სული

⁸ დღეს არსებული ოფიციალური ინფორმაციით, სოფელ კოშკაში – 116 ოჯახია, 315 სული;

⁹ დღეს არსებული ოფიციალური ინფორმაციით, სოფელ კარბში – 293 ოჯახია, 867 სული;

მიღებული დახმარებები

მოსახლეობა დღემდე იღებს **IOCC**-ს მიერ შემოტანილ პროდუქტს. 2008 წლის თებერვლის თვეში, რეგისტრაციის გავლის შემდეგ, მოსახლეობამ გაეროსაგან ერთჯერადად მიიღო თანხა **420** დოლარის ოდენობით. ამას გარდა იგივე პრინციპით, გაერომ ქალებზე გასცა **150** ლარი (თუმცა, ეს შემწეობა ყველამ ვერ მიიღო). სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შეკეთდა დაზიანებული სახლები (ანალოგიურად, შეკეთდა დაზიანებული სახლების მხოლოდ ნაწილი).

სარწყავი და სასმელი წყალი, ელექტროენერგია

სოფელ მერეთში გამოკითხული მოსახლეობის მიერ დასაღვესა და სარწყავ წყალზე მოწოდებული ინფორმაცია დიდად არ განსხვავდებოდა რწმუნებულისგან მიღებული ცნობებისაგან. მათი თქმით, გლეხი წვიმის იმედად თუ იქნება, თორემ ოსური მხარისგან წყლის გადაკეტვა უკვე ტრადიციად იქცა. მოსახლეობამ ასევე დაადასტურა ბ-ნი ვასიკო თევდორაშვილის ნათქვამი სასმელ წყალთან დაკავშირებით. სოფლის მაცხოვრებლები სახელმწიფოს მიერ გაკეთებული ჭაბურღილებიდან იღებენ სასმელ წყალს.

რაც შეეხება ელექტროენერგიას, მოსახლეობამ დაადასტურა რწმუნებულის ნათქვამი, რომ სახელმწიფომ ერთჯერადად გამოყო **150** კვ. ელექტროენერგია. თუმცა, ეს მათთვის საკმარისი არ არის. აქვე აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის ნაწილი ამასთან დაკავშირებით არ არის ინფორმირებული. ამ მხრივ არის კიდევ ერთი პრობლემა – მოსახლეობას სოფელში არ ჰყავს ელექტროტექნიკოსი. როცა ელექტროენერგიას რაიმე პრობლემა აქვს, სოფლის ერთ-ერთი მკვიდრი ადის შუქის ე.წ. ანძაზე და აკეთებს.

ჯანდაცვა

მოსახლეობის თქმით, სოფელ მერეთში არსებულ ამბულატორიაში სამედიცინო მომსახურების ხარისხი საშუალოზე დაბალია. რომ არაფერი ვთქვათ დაწესებულებაში მედიკამენტების დეფიციტზე, მოუცლელობის გამო მთავარი ექიმი ამბულატორიაში კვირაში ერთხელ მიდის. მოსახლეობასთან საუბრის დროს, ერთ-ერთმა იმავე დღის შემთხვევა გაიხსენა – სოფლის ერთ-ერთი მკვიდრი – გულუაშვილი შოთა ქუჩაში დაეცა და გონება დაკარგა. ამბულატორიაში მიყვანისთანავე აღმოჩნდა, რომ ექიმი ადგილზე არ იყო, რის გამოც იძულებულნი გახდნენ, ავადმყოფი ტყვიავის ამბულატორიაში წაეყვანათ. ექიმის საჭირო დროს ადგილზე არყოფნა, სოფლის მოსახლეთა თქმით, იშვიათობას არ წარმოადგენს.

რაც შეეხება მედიკამენტებს, მერეთში აფთიაქის არქონის გამო სასურსათო მაღაზიის მეპატრონეს საჭირო წამლები გორიდან ამოაქვს და მოსახლეობაში ყიდის. როგორც სოფლის გამოკითხული მკვიდრები ამბობენ, ფასები საკმაოდ მაღალია. (მაგალითისთვის მოგვიყვანეს ტკივილგამაყუჩებელი წამალი – ციტრამონი, რომლის საფასური სოფლის სასურსათო მაღაზიაში **50** თეთრს შეადგენს, ხოლო გორში იგივე წამალი 30 თეთრი ღირს).

კომუნიკაციის საშუალებები, მედია, ტრანსპორტი

სოფელ მერეთში ფიჭური ტელეფონი არ იჭერს. ტელევიზორი თითქმის ყველა ოჯახს აქვს. სატელევიზიო არხები მხოლოდ იმედსა და თრიალეთს გადმოცემს. პრესა სოფლის მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი არ არის.

სატრანსპორტო საშუალებებიდან დადის როგორც ავტობუსი, ისე სამარშუტო ტაქსი. ომამდე და ომის შემდეგ მგზავრობის ღირებულება 1.50 ლარს შეადგენს, რაც სოფლის მოსახლეობის თქმით, საკმაოდ ძვირია. ტრანსპორტის ზემოთნახსენები საშუალებები დღეში ოთხჯერ ამოდის სოფელში და უკან ბრუნდება (11:00, 12:00, 14:00 და 15:00).

ადგილობრივი თვითმმართველობა

მერეთში მოსახლეობა სხვა სოფლებთან შედარებით (კოშკა, გუგტიანთკარი, კარბი, ქერე) რწმუნებულს ყველაზე უფრო ხშირად ხედავს. იგი ამავე სოფელის მკვიდრია და თითქმის ყოველდღე სოფლის ე.წ. 'ბირჟაზე' მოდის და ესაუბრება სოფლის მცხოვრებლებს.

სურსათი - მერეთში ყოფნის დროს ადგილზე მოვინახულეთ ორი მაღაზია. მაღაზიის მენეჯერმა გვითხრა, რომ სოფელში სულ რვა მაღაზიაა, რომელშიც სურსათის გარდა შესაძლებელია საყოფაცხოვრებო ნივთებისა და ტანსაცმლის შექმნა. მაღაზიის მენეჯერმა საქონელს ძირითადად გორში ყიდულობს. ფასებს რაც შეეხება, განსხვავება გორში შექმნილ საქონელსა და ადგილზე გაყიდულ შორის 10-20 თეთრია.

პური -----	გორში 40 თეთრი – მერეთში 50 თეთრი;
ზეთი -----	გორში 2.30 ლარი – მერეთში 2.50 ლარი;
წიწიბურა -----	გორში 1.10 ლარი – მერეთში 1.30 ლარი;
მარილი -----	გორში 40 თეთრი – მერეთში 50 თეთრი;
შაქარი 1 კგ. -----	გორში 1.60 თეთრი – მერეთში 1.70 ლარი.
კვერციხი -----	გორში 20 თეთრი - მერეთში 30 თეთრი;

მაღაზიები სოფელში ძირითადად ე.წ. ნისიებზე მუშაობენ. მოსახლეობა ერთი თვის თავზე აბრუნებს ვალს ანუ მაშინ, როცა პენსიას, ან ხელფასებს იღებენ. ყველაზე ხშირად პური და სიგარეტი იყიდება.

განათლება

სკოლა ომის დროს არ დანგრეულა. დღეს განათლების მიღების პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს, თუმცა ახალგაზრდების თქმით, სახელმძღვანელოების საფასური მაღალია.

ამ საკითხებზე ვისაუბრეთ სოფელ მერეთის მკვიდრებთან. გასაუბრების შემდეგ, დავარიგეთ ჩვენი საკონტაქტო ფურცლები და სოფლის ყველა შეკრების ადგილზე გაავრცელეთ განცხადებები.

სოფელი გუგუტიანთკარი და სოფელი კოშკა

“საპენსიო ასაკის მინდა ვიყო” (სოფელი კოშკას მკვიდრი 51 წლის ლია გუგუტიშვილი)

სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთები და საქონელი

სოფლებში კოშკა და გუგუტიანთკარი, მოსახლეობას, ისევე როგორც მერეთში, კუთვნილ მიწის ნაკვეთებში შესვლის ეშინია. საქონლის გატაცების ფაქტები აქაც ხშირია.

შემოსავლები, პენსია, კრედიტები

კოშკასა და გუგუტიანთკარში შემოსავალის ერთადერთ წყაროს, ისევე როგორც მერეთში, ომამდე სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა, მაგრამ დღეს სარწყავი წყლის დეფიციტისა და ოსური მხარის მიერ მათი კუთვნილი მიწის ნაკვეთების დაკავების გამო, მოსახლეობა მიწების დამუშავებას ვერ ასწრებს. პენსიის მიწოდება დროულად ხდება.

თუმცა, საუბრის დროს აღმოჩნდა, რომ სოფლის მცხოვრები არასაპენსიო ასაკის მოსახლეობა საპენსიო ასაკის მიღწევას ნატრობს. პენსიონრები კი, თავის მხრივ, პენსიის ოდენობით უკმაყოფილონი არიან. თვიდან თვემდე პენსია არ ჰყოფნით და განსაკუთრებული შემთხვევებისთვისაც იზოგავენ. სოფლის მაცხოვრებლები მეზობლის გარდაცვალების, ან გაბედნიერების შემთხვევაში რომ არ შერცხვნიან, პენსიას იზოგავენ.

ომამდე, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს აღებული ჰქონდა აგრო-კრედიტი 300 ლარის ოდენობით. ომის შემდეგ, სახელმწიფოს მხრიდან მათთვის არავითარი შეღავათი გაკეთებულა. დღემდე ყოველთვიურად იხდიან პროცენტებს. ერთ-ერთი ქალბატონის თქმით, იგი დღემდე იხდის 30 ლარს.

მიღებული დახმარებები

მოსახლეობა დღემდე იღებს IOCC¹⁰-ს მიერ შემოტანილ პროდუქტს. 2008 წლის თებერვლის თვეში, რეგისტრაციის გავლის შემდეგ, მოსახლეობამ გაერო-საგან ერთჯერადად თანხა 420 დოლარი ვერ მიიღო. ამას გარდა, გაერო-ს მიერ იგივე

¹⁰ IOCC – საქართველოს საპატრიარქოს სასურსათო დახმარების პროგრამა

პრინციპით გაცემული 150 ლარი კომპასა და გუგუტიანთკარში არ აუღიათ. სოფლის ერთ-ერთი მკვიდრის ინფორმაციით, მან ამ თანხის აღება VTB ბანკიდან ერთი დღით დააგვიანა, რის გამოც იგი (ბანკი VTB-ს თქმით) ე.წ. “შავ სიაში” აღმოჩნდა და კუთვნილი ფული ვერ მიიღო.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გუგუტიანთკარში 8 დამწვარი სახლიდან არც ერთი შეკეთებულა. მოსახლეობის თქმით, მათ სოფლებში თითქმის ყველა სახლი დაზიანებულია. მერეთისგან განსხვავებით, კომპასა და გუგუტიანთკარში დაზიანებული ფანჯრის ჩამტვრეული შუშებიც კი არ შეუცვლიათ.

უსაფრთხოება

მოსახლეობის ინფორმაციით, სოფელ გუგუტიანთკარიდან 500 მეტრში არსებული სოფელი ზემო ქერე ოსურმა მხარემ დაიკავა. ამის გამო, უსაფრთხოების პრობლემა აქტუალურია. მიუხედავად იმისა, რომ სოფლებში გუგუტიანთკარი და კომპა საპატრულო პოლიცია მოძრაობს, მოსახლეობა მაინც არ არის დაცული. ღამის განმავლობაში სროლები ხშირია. სროლის ხმა, ძირითადად, ოსური მხარის განლაგების ადგილიდან ისმის. ქართული მხარე საპასუხოდ არასდროს ისვრის. ადამიანებისა და საქონლის გატაცების ფაქტები არ ფიქსირდება.

სარწყავი და სასმელი წყალი, ელექტროენერჯია

სასმელი წყალი სოფლებს კომპა და გუგუტიანთკარი არც აგვისტოს ომამდე მიეწოდებოდა. მხოლოდ რამდენიმე ოჯახს აქვს სასმელი წყლის საკუთარი ჭა. სარწყავი წყლის პრობლემა ამ სოფლებში ისეთივე სიმძაფრით დგას, როგორც მერეთში. მოსახლეობა აქაც წვიმის იმედზეა.

რაც შეეხება ელექტროენერჯიას, მოსახლეობამ დაადასტურა რწმუნებულის ნათქვამი, რომ სახელმწიფომ ერთჯერადად გამოყო 150 კვ. ელექტროენერჯია. თუმცა, ეს მათთვის საკმარისი არ არის.

ჯანდაცვა

სოფლებში კომპა და გუგუტიანთკარი არ არის ამბულატორია. საჭიროების შემთხვევაში მიდიან ან გორში, ან ტყვიავში, თუმცა გადადგილება უსახსრობის, ხანაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ბევრს უჭირს. საჭიროების შემთხვევაში, ურეკავენ გორის სასწრაფო დახმარებას. მედიკამენტებზე ხელი არ მიუწვდებათ. იმის გამო, რომ სოფელში აფთიაქი არ არის, იძულებულნი არიან, წავიდნენ ან მერეთში ან გორში.

კომუნიკაციის საშუალებები, მედია, ტრანსპორტი

ტელევიზორი მოსახლეობის შეზღუდულ რაოდენობას აქვს. ისევე, როგორც მერეთში, სოფლებში კომპა და გუგუტიანთკარი სატელევიზიო არხებიდან მხოლოდ იმედს და თრიალეთს იღებენ. მიუხედავად იმისა, რომ მობილური ტელეფონი ბევრს არ აქვს, საჭიროების შემთხვევაში მეზობლები ერთმანეთს ეხმარებიან და საკუთარი ტელეფონებიდან რეკავენ საჭირო ინფორმაციის მისაღებად. კავშირგაბმულობის პრობლემა ამ სოფლებში არ არის. ტრანსპორტი ისეთივე ინტენსივობით არ დადის,

როგორც სოფელ მერეთში. ბოლო სამარშუტო ტაქსი **17:00** საათზე გადის. ღირებულება **1.50** ლარს შეადგენს, რაც მოსახლეობის თქმით, ძვირია.

ადგილობრივი თვითმმართველობა

სოფლებში კოშკა და გუგუტიანთკარი, რწმუნებულსა და გამგებელს ისეთი სიხშირით ვერ ნახულობენ, როგორც ეს სოფელ მერეთში ხდება. აქვთ შეხება გამგებლის მოადგილესთან ქნ მზია ტურაშვილთან, რომელიც მართალია, ისმენს მათ პრობლემებს, მაგრამ რეალურად ვერ ეხმარება.

განათლება

სკოლა ომამდეც ვერ ფუნქციონირებდა. ამის გამო, მოსწავლეები იძულებულნი არიან სოფელ მერეთში იარონ. სოფლის მცხოვრებლებმა სასწავლო წიგნების ფასებთან დაკავშირებით უკმაყოფილება გამოხატეს.

სოფელი კარბი

“არვინაა ჩვენი პატრონი” – სოფლის მკვიდრთა ჩივილი

სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები და საქონელი

მოსახლეობას სოფელ კარბში, ისევე როგორც მერეთში, კოშკასა და გუგუტიანთკარში კუთვნილ მიწის ნაკვეთებში შესვლის ეშინია.

შემოსავლები, პენსია, კრედიტები

მოსახლეობა პენსიას დროზე იღებს. ომამდე აღებულ კრედიტებზე დღეს არანაირი შეღავათი არ ვრცელდება. მოსახლეობის დიდ ნაწილს კრედიტები ძირითადად **VTB** ბანკიდან აქვს აღებული.

მიღებული დახმარებები

ზემოთსენებული დახმარებებიდან სოფელ კარბის მოსახლეობას არაფერი მიუღია. თუმცა, **IOCC**-ს მიერ შემოტანილ პროდუქტებს სოფელი ყოველთვიურად იღებს. რომ არა ეს დახმარება, მათთვის ცხოვრება უფრო რთული იქნებოდა. ამას გარდა, ომის დროს დანგრეული სახლების მცირე რაოდენობა აღდგა. ხოლო მათ კი ვისაც ჩამტვრეული ფანჯრები ჩაუსვეს, ამოღესვა არ გაუკეთეს, რის გამოც მთელი ზამთარის განმავლობაში სახლებში თოვლი და წვიმა შედიოდა.

უსაფრთხოება

მოსახლეობას უსაფრთხოების შეგრძნება არ აქვს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ყოველი მეორე სახლი კარბში იმ მთებს უყურებს, სადაც, მოსახლეობის თქმით, ე.წ.

‘სნაიპერები’ დგანან. ღამით ყველა ერიდება გარეთ სიარულს და სახლებში შუქის ანთებას. ეშინიათ, ვინმემ სროლა არ დაიწყო.

სარწყავი და სასმელი წყალი, ელექტროენერგია

სოფელ კარბში ამ მხრივ მოსახლეობას იგივე პრობლემა აქვს, რაც სოფლებში მერეთი, კოშკა და გუგუტიანთკარი. რაც შეეხება ელექტროენერგიას, მოსახლეობამ დაადასტურა რწმუნებულის ნათქვამი, რომ სახელმწიფომ ერთჯერადად გამოყო 150 კვ. ელექტროენერგია. თუმცა, ეს მათთვის საკმარისი არ არის. ამასთან, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ეს მოცულობა თითქმის ყველა მოსახლეს უკვე გახარჯული აქვს. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ამ რაიონში გაზიფიცირება არ მომხდარა და ელ.ენერგიის გამოყენება უწევთ საკვების მოსამზადებლად.

ჯანდაცვა

ადგილზე ამბულატორია არ არის. ამის გამო, მოსახლეობას მერეთში ან გორში ჩასვლა უწევს.

კომუნიკაციის საშუალებები, მედია, ტრანსპორტი

ტელეფონები და ტელევიზორები მოსახლეობას აქვს. (მხოლოდ 2 ტელე არხის მიღება შეუძლიათ – ,თრიალეთი’ და ,იმედი’).

ადგილობრივი თვითმმართველობა

სოფლის მოსახლეობას განსაკუთრებული პრეტენზიები ამ მიმართულებით არ გამოუთქვამს.

განათლება

სკოლა ომის დროს დაინგრა. მისი ნაწილობრივი აღდგენა ერთ-ერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ (ორგანიზაციის სახელი არააინიცის) შეძლო. სოფლის მკვიდრებს აშფოთებს სახელმძღვანელობის საფასური.

სოფელი ერგნეთი

*“მე მგონი, ჩვენი სოფელი უკვე საქართველოს რუკაზეც აღარ არის აღნიშნული.”
(სოფლის 40 წლის მკვიდრი ქალბატონი)*

პერსონალური უსაფრთხოება

გამოკითხული მოსახლეობის ინფორმაციით, სოფელ ერგნეთში ღამის განმავლობაში ხშირად ისმის სროლები. ბაღებში განადმეითი სამუშაოები არ ჩატარებულა. რაც შეეხება ქართული პოლიციის მიერ პატრულირებას, დღისა და ღამის განმავლობაში სოფელში საპატრულო პოლიციის მანქანები მოძრაობენ. მოსახლეობა ბაღებში სიარულს ერიდება, რადგან ოსების ეშინია.

თვითმმართველობა

მოსახლეობა ვარაუდობს, რომ სოფელი საქართველოს რუკაზე აღარ არის აღნიშნული და რომ ისინი მთავრობის წარმომადგენლებს აღარ ახსოვთ. რწმუნებული თითქმის არასდროს ადის ერგნეთში. გამოკითხულმა სოფლის მაცხოვრებლებმა თქვეს, რომ ღია წერილით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტს გამოეყო მათთვის საყოფაცხოვრებო ნივთები და საოჯახო ტექნიკა. მიუხედავად არაერთგზის მიმართვისა, დასახელებულ წერილზე მიღებული პასუხი მათთვის დღემდე არ მოუწოდებია სოფლის რწმუნებულს.

სასმელი და სარწყავი წყალი, სოფლის მეურნეობა, ელექტროენერჯია

ისევე როგორც სხვა სოფლებში, ერგნეთშიც სარწყავი წლის პრობლემა დგას. სახელმწიფოს მიერ გაკეთებული სასმელი წყლის ჭაბურღილები ან ეზოებში აქვთ, ან ქუჩებში. მოსახლეობა ეზოებში არსებულ მცირე ზომის ბოსტნებს ქილებში ავსებული სასმელი წყლით რწყავს. სარწყავი წყალი ზაფხულიდან მოყოლებული დაწყვეტილია და არ მოდის. მოსახლეობა ჩივის იმასთან დაკავშირებით, რომ მათ არ აქვთ ხის ყუთები, რათა ვაშლის დიდი მოსავალი აიღონ. სახელმწიფომ აქაც ერთჯერადად გამოეყო 150 კვ. ელექტროენერჯია.

მედიკამენტები, სურსათი, ჰიგიენა

ერგნეთში სასურსათო მაღაზია არ არის. საჭიროების შემთხვევაში, მერეთში ან გორში მიდიან. მათთვის ტყვიავის საავადმყოფო არის მედიკამენტებით უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო. სხვა შემთხვევაში, საჭირო წამლებს გორში ყიდულობენ. ამას გარდა, სოფლის მოსახლეობას, რომელიც აღრიცხულია სოციალურად დაუცველთა ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, არ დაურიგდა სადაზღვევო პოლისები.

ჰიგიენის მხრივ, მოსახლეობა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. წითელი ჯვრის მიერ შეტანილი ჰიგიენური საშუალებების შემდეგ¹¹, სოფელში ამ მიმართულებით არანაირი დახმარება არ გაცემულა.

ტრანსპორტი

სოფელში არის სამარშრუტო ტაქსების გაჩერება. ისინი ყოველ 10 წუთში ერთხელ გადიან გორის მიმართულებით. მგზავრობის საფასური 1.00 ლარს შეადგენს.

¹¹ როგორც სოფლის მკვიდრმა ქალებმა გვითხრეს, დაახლოებით 2009 წლის გაზაფხულის მიწურულს შეიტანეს ჰიგიენური საშუალებები ბოლოს.

განათლება

სოფლის სკოლა ომის შემდეგ საქართველოს ბანკის დაფინანსებით აღდგა. სკოლაში მოსახლეობის თქმით, ძალიან კარგი პირობებია. პედაგოგებს ხელფასებს საათობრივად უხდიან. სკოლაში მე-5 კლასამდე 50-მდე მოსწავლე სწავლობს. სკოლას ჰყავს დაცვა. მასწავლებლები დროულად იღებენ ხელფასებს.

საყურადღებოა სკოლის საპირფარეშოების მდებარეობა. საპირფარეშოები განლაგებულია სკოლის შენობის უკანა მხარეს. ვინაიდან სკოლის საპირფარეშოები ძალიან ახლოსაა წითელ ზონასთან, მასწავლებლებს ეშინიათ მოწაფეების მარტო გაშვება და უწევთ გაყოლა.

კომუნიკაცია, მედია

სოფელში 3-4 ოჯახს აქვს მობილური ტელეფონი. საჭიროების შემთხვევაში, ყველა მათ მიმართავს. ერგნეთში მხოლოდ ერთ ოჯახს აქვს ტელევიზორი. შესაბამისად მოსახლეობას უჭირს ინფორმაციის მიღება. როგორც თვითონ ამბობენ, აბსოლუტურ ინფორმაციულ ვაკუუმში არიან. სოფელში არ აქვთ ჟურნალ-გაზეთები.

საჭიროებები

სოფელში დგას დასაქმების პრობლემა. ამას გარდა, ზამთრის დადგომასთან დაკავშირებით, მოთხოვნაა თბილ ტანისამოსზე და ფეხსაცმელზე.

შეტანილი დახმარებები

მათთვის უცნობმა არასამთავრობო ორგანიზაციამ შეაგროვა ხელმოწერები, ჩაინიშნეს პირადობის მოწმობის ნომრები და შეპირდნენ ცოცხალი ქათმების შეყვანას. დღემდე არ გამოჩენილან. CARE-მა შეიტანა შეშა, გაზის ბალონები და კასრები. DRC-იმ დამწვარი სახლის პატრონებს საყოფაცხოვრებო ნივთები დაურიგა. გარდა ამისა, ამ ორგანიზაციამ მათ კოტეჯები აუშენა ეზოებში.

სოფელი ტყვიავი

ჯანდაცვა

ტყვიავის ამბულატორია არის გამგეობის შენობაში.

ამბულატორიაში სულ დასაქმებულია ოთხი ექიმი. ორ სასწრაფო ბრიგადაში შედის ორ-ორი სამედიცინო პერსონალი. ორ ბრიგადაზე არის თითო აპარატურა.¹²

¹² მაგალითად, წნევის საზომი და სისხლში შაქრის საზომი აპარატი.

შესაბამისად, ორივე ბრიგადის ექიმებს ერთდროულად არ შეუძლიათ ავადმყოფისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.

ამას გარდა, ისინი ოჯახის ექიმებად რეგისტრირებულები არიან, როგორც ფიზიკური პირები. ომამდე მოხდა სოფლის ექიმის პროგრამის ფარგლებში მათი აღჭურვა, თუმცა არასრულყოფილად. თუკი ტყვიავის ამბულატორიაში არ არის შესაბამისი აპარატურა, მოქალაქემ წესით, უნდა მიმართოს დიციის საავადმყოფოს, რომელიც მოსახლეობის თქმით, არ არის სრულყოფილად აღჭურვილი. თუკი პაციენტს სჭირდება ექოსკოპია, მაშინ ტყვიავის ამბულატორია იძულებულია, გადაამისამართოს გორის საავადმყოფოში.

ამბულატორიას ჯანდაცვის სამინისტროსთან არ აქვს არანაირი შეხება. სახელმწიფო პროგრამებზე ინფორმირებულები ძალიან ნაკლებად არიან. გუთხოვეს, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის მათთვის გადაცემა. მედიკამენტები სამედიცინო ფორმა 100-ის საშუალებით გაიცემა. სახელმწიფო მათ ხელფასის სახით უხდის 456 ლარს (დარიცხული), საიდანაც ხელზე ასაღები თანხაა 360 ლარი. მდგომარეობა ისეთია, რომ მათ საკუთარი ხელფასიდან უხდებთ სამსახურის საქმიანობისთვის ხარჯის გაწევა, რათა დაფარონ მედიკამენტების, ელექტროენერჯის და მწკობრიდან გამოსული აპარატურის შეკეთების ხარჯები.

ორი ამბულატორიის ექიმი მიმაგრებულია სამიდან - ექვს სოფლამდე. მედ-პერსონალი თითოეულ სოფელზე შემდეგნაირად არის განაწილებული:
დიცი, არბო, ქორდი - 2/2 ექიმი; ბროწლეთი, მეღვრეკისი - 2/2 ექიმი; ტირძნისი, თერგვისი - 2/2 ექიმი; მერეთი, კოშკა, ზარდიაანთკარი, კარბი, მერე და გუგუტიანთკარი - 2/2 ექიმი.

დასკვნის მაგიერ:

ადამიანთა უსაფრთხოება დარღვეულია ე.წ. სასაზღვრე სოფლებში

I. პერსონალური უსაფრთხოება

გამოკითხული მოსახლეობის ინფორმაციით, სასაზღვრო სოფლებში ღამის განმავლობაში ხშირად ისმის სროლები. გარდა ამისა, ყოველი მეორე სახლი¹³ იმ მთებს უყურებს, სადაც, მოსახლეობის ვარაუდით, ოსური მხარის სნაიპერები დგანან. ღამით ყველა ერიდება გარეთ სიარულს და სახლებში სინათლის ანთებას. ეშინიათ, ვინმემ სროლა არ დაიწყოს მათი მიმართულებით¹⁴. ადამიანები ბაღებში¹⁵ სიარულს ერიდებიან, რადგან, მათივე თქმით, ოსების ეშინიათ.

ბაღებში განაღმვითი სამუშაოები არ ჩატარებულა ან ჩატარდა ნაწილობრივ¹⁶. რაც შეეხება ქართული პოლიციის მიერ პატრულირებას, დღისა და ღამის განმავლობაში სოფელში საპატრულო პოლიციის მანქანები მოძრაობენ.

საყურადღებოა ერგენტის სკოლის პრობლემა, რომელიც კი გარემონტდა, მაგრამ სკოლის ეზოში განლაგებული საპირფარეშოები მდებარეობს სკოლის შენობის უკანა მხარეს. ვინაიდან სკოლის საპირფარეშოები ძალიან ახლოსაა წითელ ზონასთან¹⁷, მასწავლებლებს ეშინიათ მოწაფეების მარტო გაშვება და უწევთ გაყოლა, რადგან შესაძლებელია აფეთქდეს ნაღმი, ან გაისროლოს ოსმა სნაიპერმა.

სოფელი მერეთი
მერეთში მოსახლეობაში დაძაბულობის ხარისხი დაბალია. მათ სხვა გამოკითხულ სოფლებთან შედარებით ყველაზე ხშირად აქვთ შეხება რწმუნებულთან.

II ხელისუფლება (თვითმმართველობა)

მოსახლეობის თქმით, რწმუნებული თითქმის არასდროს ადის ერგენტში. შესაბამისად, კომუნიკაცია მოსახლეობასა და რწმუნებულს შორის დარღვეულია¹⁸. ჩვენი შეფასებით, სოფლებში კოშკა და გუგუტიანთკარი, რწმუნებულსა და გამგებელს ისეთი სიხშირით ვერ ნახულობენ, როგორც ეს სოფელ მერეთში ხდება, ვინაიდან რწმუნებული არის ხსენებული სოფლის მკვიდრი. სამაგიეროდ, მოსახლეობას შეხება აქვს გამგებლის მოადგილესთან ქალბატონ მზია ტურაშვილთან, რომელიც მართალია, ისმენს მათ პრობლემებს, მაგრამ რეალურად ვერ ეხმარება.¹⁹ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კარბში ჩვენი ვიზიტის დროს, როდესაც ვხვდებოდით მოსახლეობას და ვარკვევდით მათ პრობლემებს, სოფლის ცენტრში, ე.წ. ბირჟაზე, გამოჩნდა სოფლის რწმუნებული. მისი გამოჩენის შემდეგ მოსახლეობის ძირითადმა ნაწილმა თავი შეიკავა ხმამაღლა პრეტენზიების გამოთქმისაგან. ნაწილმა შეცვალა

¹³ სოფელი კარბი

¹⁴ სოფლები გუგუტიანთკარი, კოშკა

¹⁵ ბაღი – ადგილობრივი მოსახლეობა საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთს ასე ეძახის.

¹⁶ სოფლები ერგენტი, ვარიანი. ვარიანიდან ჩამოსული იყო ორი სოფლის მკვიდრი, რომლებმაც მოგვაწოდეს ინფორმაცია, რომ მიწის ნაკვეთების უმეტესი ნაწილი არ არის ხარისხიანად განაღმული. 4 წლის ბავშმა მოახერხა ბარით ნაღმის ამოთხრა და აღნიშნული შეიტანა სახლში.

¹⁷ მოსახლეობა ასე უწოდებს საზღვრისპირა ტერიტორიას.

¹⁸ მაგალითად სოფლის მაცხოვრებლებმა ღია წერილით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტს გამოეყო და გაეგზავნა მათთვის საყოფაცხოვრებო ნივთები და საოჯახო ტექნიკა. მიუხედავად არაერთგზის მიმართვისა, დასახელებულ წერილზე მიღებული პასუხი სოფლის რწმუნებულს მათთვის დღემდე არ მოუწოდებია.

¹⁹ სოფლის მოსახლეობა.

კიდევ პოზიცია და პირიქით, კმაყოფილება გამოთქვა. მოსახლეობის დარჩენილმა ნაწილმა კი პირდაპირ წაუყენა პრეტენზიები სოფლის რწმუნებულს.

III სასმელი და სარწყავი წყალი

სოფლებში მწვავედ დგას სარწყავი წლის პრობლემა. სახელმწიფოს მიერ გაკეთებული სასმელი წყლის ჭაბურღილები ან ეზოებში აქვთ, ან ქუჩებში. მოსახლეობა ეზოებში არსებულ მცირე ზომის ბოსტნებს ქილებში ავსებული სასმელი წყლით რწყავს. სოფლებში სარწყავი წყალი ზაფხულიდან მოყოლებული დაწყვეტილია და არ მოდის.

IV ელექტროენერგია და შეშა

რაც შეეხება ელექტროენერგიას, სახელმწიფომ ერთჯერადად გამოყო 150 კვ. თუმცა, ეს მათთვის საკმარისი არ არის. მით უფრო, რომ ეს რაოდენობა თითქმის უკვე გახარჯეს, რადგან გაზიფიცირება არ არსებობს იმ რაიონში და საკვების მომზადებაც ელექტროენერგიის გამოყენებით უხდებათ.²⁰

კოშკა და გუგუტიანთკარი

კოშკასა და გუგუტიანთკარში გამოკითხვის დროს ქალებს ტირილი სიცილში გადასდიოდათ და პირიქით. შეიმჩნეოდა დაძაბულობა. თუმცა სხვა გამოკითხულ სოფლებთან შედარებით, სოფლის მკვიდრნი ერთმანეთის მიმართ უფრო მეტად გამოხატავდნენ მხარდაჭერასა და თანაგრძნობას.

სოფელ გუგუტიანთკარში ვიზიტის დროს, მოსახლეობამ გვითხრა, რომ მათთვის უცნობმა ორგანიზაციამ დაარიგა შეშა. შეშის რაოდენობა იყო შეზღუდული და არ პასუხობდა მათ მოთხოვნას. თითო ოჯახზე გაიცა დაახლოებით 3 მცირე ზომის მორი. სხვა სოფლებში ამ მხრივ სიტუაცია თითქმის იგივეა.²¹

V სოფლის მეურნეობა

სასაზღვრე სოფლების მაცხოვრებლებისათვის მთავარ პრობლემად რჩება ოსური მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დარჩენილ, სოფლიდან 200-300 მეტრით დაშორებულ მათი კუთვნილ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებში შესვლა. მიუხედავად ამისა, ის ადამიანები ვისი ბალებიც სასაზღვრო ზოლის მიღმა დარჩა, დროდადრო მაინც გადადიან კუთვნილ ნაკვეთში, თუმცა ხშირ შემთხვევაში ხდებიან ოსური მხარის მუქარისა და ძალადობის მსხვერპლი.²² ამას გარდა, მოსახლეობა²³ ჩივის იმასთან დაკავშირებით, რომ მათ არ აქვთ ხის ყუთები, რათა მოწეული ვაშლის დიდი მოსავალი აიღონ.

VI ჯანდაცვა

²⁰ სოფლები ერგნეთი, მერეთი, ტყვიავი, კარბი, კოშკა, გუგუტიანთკარი

²¹ ერგნეთი, მერეთი, კარბი, ტყვიავი, კოშკა.

²² მერეთის, კოშკასა, გუგუტიანთკარის, კარბისა და ერგნეთის მოსახლეობის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

²³ ერგნეთი

სასაზღვრე სოფლების მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის პრობლემების შემთხვევაში ხელმისაწვდომია ტყვიავის ამბულატორია და სასწრაფო დახმარება. სულ ამბულატორიაში დასაქმებულია ოთხი ექიმი. ორ სასწრაფო ბრიგადაში შედის ორ-ორი სამედიცინო პერსონალი.

ორ ბრიგადაზე არის თითო აპარატურა²⁴. შესაბამისად, ორივე ბრიგადის ექიმებს ერთდროულად არ შეუძლიათ ავადმყოფისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. სამუშაოს ანაზღაურებისთვის სახელმწიფო მათ უხდის 456 ლარს, საიდანაც ხელზე ასაღები თანხაა 360 ლარი. მდგომარეობა ისეთია, რომ საკუთარი ხელფასიდან მათ უხდებათ სამსახურის საქმიანობისთვის ხარჯის გაწევა, რათა დაფარონ მედიკამენტების, ელექტროენერგიის და მწყობრიდან გამოსული აპარატურის შეკეთების ხარჯები.²⁵ ორი ამბულატორიის ექიმი მიმაგრებულია სამიდან ექვს სოფლამდე.²⁶ ასევე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ტყვიავის ამბულატორიის ექიმები არ არიან ინფორმირებული ჯანდაცვის სახელმწიფო რეფერალური პროგრამების შესახებ და ამ მხრივ ვერ ეხმარებიან მოსახლეობას.

სოფლებში განხორციელებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ სოფლის მოსახლეობის ნაწილს, რომელიც აღრიცხულია სოციალურად დაუცველთა ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, არ დაურიგდათ სადაზღვევო პოლისები.

VII სურსათი

სოფლებში ერგნეთი, კოშკა და გუგუტიანთკარი სასურსათო მაღაზია არ არის. საჭიროების შემთხვევაში, მერეთში ან გორში მიდიან. მერეთში ფუნქციონირებს რვა მაღაზია, სადაც ერთდროულად იყიდება სურსათი, საყოფაცხოვრებო ნივთები, ჰიგიენური საშუალებები და ტანისამოსი. საქონელი ძირითადად შეაქვთ ქალაქ გორიდან. განსხვავება ფასებში არის 10-20 თეთრი. მაღაზიები ძირითადად მუშაობენ ე.წ. ნისიაზე, რადგან მოსახლეობა გადახდის უუნაროა. ხოლო რაც შეეხება ტყვიავს, იქ ფუნქციონირებს რამდენიმე მაღაზია, ასევე შერეული ტიპის.

VIII ჰიგიენა

²⁴ წნევის გასაზომი აპარატი და სისხლში შაქრის საზომი აპარატი.

²⁵ ინფორმაცია მიღებული ტყვიავის ამბულატორიაში 2008 წლის 5 ოქტომბრის ვიზიტის დროს.

²⁶ დიცი, არბო, ქორდი - 2/2 ექიმი; ტირძისი, ბროწლეთი, მეღვრეკისი, თერგვისი - 2/2 ექიმი; მერეთი, კოშკა, ზარდიანთკარი, კარბი, მერე და გუგუტიანთკარი - 2/2 ექიმი.

სოფელი კარბი

ყველაზე უფრო დაძაბული მოსახლეობა სოფელ კარბში იყო. სოფელ კარბში მოსახლეობაში ასევე შეიმჩნეოდა შიდა განხეთქილების არსებობა. როცა ზოგიერთი სოფლის მკვიდრი გაგვესაუბრა, საუბრის დროს იგი ცდილობდა საკუთარი ჭირ-ვარამისათვის უფრო მეტად გაესვა ხაზი და ამით გარშემომყოფების პრობლემები დაეჩრდილა. იყო ორი ისეთი შემთხვევაც, როცა სოფლის მოსახლეობის თავშეყრის ადგილზე შეკრებილ ადამიანებთან საუბრის დროს, გამოჩნდა უცნობი ქალბატონი, რომელიც შეკრებილების მისამართით ილანძვებოდა. ამბობდა, რომ მისგან განსხვავებით ყველამ დახმარება მიიღო და რომ მის გარდა ყველა გამდიდრდა. სოფლებში ვიზიტის დროს, შევამჩნიეთ, რომ დღეს იქ მხოლოდ ევროკავშირის სადამკვირებლო მისიის მანქანა მოძრაობს. მიუხედავად იმისა, რომ წითელი ჯვარი ამ სოფლებიდან გამოსულია, კარბში ყოფნის დროს ერთხელ თვალი მოვკარივით წითელი ჯვრის მანქანას.

მიუხედავად მწვავე საჭიროებისა, ჰიგიენური საშუალებები მოსახლეობას არ მიეწოდება.²⁷

IX ტრანსპორტი, გადაადგილება

სოფელ ერგნეთში არის სამარშრუტო ტაქსების გაჩერება. ისინი ყოველ 10 წუთში ერთხელ გადაიან გორის მიმართულებით. მგზავრობის საფასური 1.00 ლარს შეადგენს. სოფლებში მერეთი და ტყვიავი სატრანსპორტო საშუალებებიდან დადიან როგორც ავტობუსები, ისე სამარშრუტო ტაქსები. ომამდე და ომის შემდეგ მგზავრობის ღირებულება 1.50 ლარია, რაც სოფლის მოსახლეობის თქმით, საკმაოდ ძვირია. ტრანსპორტის ზემოთნახსენები საშუალებები დღეში ოთხჯერ ადის სოფელში და უკან ბრუნდება (11:00სთ, 12:00სთ, 14:00სთ და 15:00სთ).

სოფელი ერგნეთი

სოფელი ერგნეთის მოსახლეობაში აგრესია აშკარად გამოვლენილი არ არის მიუხედავად ძალიან მძიმე ყოფითი პირობებისა. რამდენიმე მკვიდრმა ქალბატონმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ მათი ემოციური მდგომარეობა კრიტიკულია, რადგან თავისი თვალთ ნახეს საომარი მოქმედებების დროს მათ მეზობლებზე, ნაცნობებზე განხორციელებული სასტიკი ფორმის ძალადობები. სოფლის მოსახლეობა განსაკუთრებული თანაგრძნობით და თანადგომით იყო ერთმანეთისადმი განწყობილი.

გუგუტიანთკარში და კოშკაში ტრანსპორტი ისეთივე ინტენსივობით არ დადის, როგორც სოფელ მერეთში და ერგნეთში. აქ ბოლო სამარშრუტო ტაქსი 17:00 საათზე გადის. ღირებულება 1.50 ლარს შეადგენს, რაც მოსახლეობის თქმით, ძვირია.

X განათლება

სოფელ ერგნეთის სკოლა ომის შემდეგ საქართველოს ბანკის დაფინანსებით აღდგა. მოსახლეობის თქმით სკოლაში ძალიან კარგი პირობებია. სკოლაში მე-5 კლასამდე 50-მდე მოსწავლე სწავლობს. სკოლას ჰყავს დაცვა. პედაგოგებს ხელფასებს საათების მიხედვით უხდიან. მასწავლებლები დროულად იღებენ ხელფასებს.

სოფლებში კოშკა და გუგუტიანთკარი სკოლა, ცუდი პირობების გამო ომამდე დაინგრა. ამის გამო სკოლის მოსწავლეებს უხდებათ სოფელ მერეთის სკოლაში სიარული.

რაც შეეხება სოფელ კარბს, იქ სკოლა ომის დროს დაინგრა. მისი ნაწილობრივი აღდგენა ერთ-ერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ (ორგანიზაციის სახელი მოსახლეობამ არ იცის) შეძლო.

სოფელი ტყვიავი

სოფლის მოსახლეობა გამოხატავდა გაღიზიანებასა და შოთხვას ომის დროს მიყენებული ზარალისა და ზიანის გამო, რომელიც დღეისათვის ისევ შეუფასებელი და აუნაზღაურებელია. მათ ჰქონდათ საკუთარი ტრავმისა და ტკივილის შესახებ ინფორმაციის მოწოდების პრიორიტეტულობის განცდა.

ყველა სოფელში არის სახელმძღვანელოების პრობლემა. უფასოდ რიგდება მხოლოდ პირველი კლასის სახელმძღვანელოები, ხოლო დანარჩენი კლასებისათვის

²⁷ სოფლები მერეთი, კოშკა, გუგუტიანთკარი, ერგნეთი, ტყვიავი.

მოსახლეობას საკუთარი ხარჯებით უწევს სახელმძღვანელოებისა და სასკოლო-საკანცელარიო ნივთების შექენა.

XI კომუნიკაცია, მედია

სოფელ ერგნეთში მხოლოდ სამ-ოთხ ოჯახს აქვს მობილური ტელეფონი. საჭიროების შემთხვევაში, ყველა მათ მიმართავს. ერგნეთში მხოლოდ ერთ ოჯახს აქვს ტელევიზორი. შესაბამისად, მოსახლეობას უჭირს ინფორმაციის მიღება. როგორც თვითონ ამბობენ, აბსოლუტურ ინფორმაციულ ვაკუუმში არიან.

ისევე, როგორც მერეთში, სოფლებში კოშკა და გუგუტიანთკარი სატელევიზიო არხებიდან მხოლოდ იმედი და თრიალეთი იჭერს. ამ სოფლებში ტელევიზორი მოსახლეობის შეზღუდულ რაოდენობას აქვს. არც ერთ სოფელში არ შედის ბეჭდური პრესა.²⁸

XII პრიორიტეტული საჭიროებები

სოფლებში დგას დასაქმების პრობლემა. ასევე ზამთრის დადგომასთან დაკავშირებით, მოთხოვნაა თბილ ტანსაცმოსა და ფეხსაცმელზე. სახლების დაწვისა და გაძარცვის შედეგად მოსახლეობა დარჩა საყოფაცხოვრებო ნივთების გარეშე.

XIII შეტანილი დახმარებები

სოფლებში ერგნეთი, მერეთი, კარბი, ტყვიავი, კოშკა და გუგუტიანთკარი გაეროს ეგიდით **IOCC** რვა თვიანი პროგრამის ფარგლებში საპატრიარქო სასახლეებში სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობას აწვდის პროდუქტს თვეში ერთხელ.

საპატრიარქოს დახმარება - ერთ სულ მოსახლეზე პროდუქტი:
4.50 კგ. ფქვილი;
700 გრ. ლობიო;
300 გრ. შაქარი;
4.50 კგ. მაკარონი;
0.5 ლ. ზეთი;
150 გრ. მარილი.

თუმცა აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ დღეის მდგომარეობით პროდუქტებიდან ამოღებულ იქნა მაკარონი და მარილი. პროგრამა შეჩერდება 2009 წლის დეკემბერში და ორგანიზაციას არ აქვს ინფორმაცია მის გაგრძელებასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, სოფლებში მერეთი, კოშკა და გუგუტიანთკარი 2008 წლის თებერვლის თვეში, რეგისტრაციის გავლის შემდეგ, მოსახლეობამ გაეროსაგან ერთჯერადად მიიღო თანხა 420 დოლარის ოდენობით. ამას გარდა იგივე პრინციპით, გაერომ ქალებზე გასცა 150 ლარი (თუმცა, ეს შემწეობა ყველამ ვერ მიიღო). სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შეკეთდა დაზიანებული სახლების მხოლოდ ნაწილი.

სოფელ ერგნეთში წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციამ ხუთი თვის წინ შეიტანა ჰიგიენური საშუალებები; ასევე მათთვის უცნობმა არასამთავრობო ორგანიზაციამ შეიტანა მედიკამენტები, რაც ყველასთვის არ იყო საკმარისი. ამას გარდა, დანიის ლტოლვილთა საბჭომ ააშენა კოტეჯები და დაარიგა საყოფაცხოვრებო ნივთები. საქართველოს ბანკმა კი გაარემონტა სკოლის შენობა, შეიტანა ინვენტარი.

²⁸ მერეთი, კოშკა, გუგუტიანთკარი, ერგნეთი, ტყვიავი და კარბი.

XIV სამართლებრივი საკითხები

დამწვარი სახლების მეპატრონეები აცხადებენ, რომ მათ არ ჰყოფნით მიღებული საკომპენსაციო თანხა სახლის აღსადგენად და ასევე მათ მიერ გააკეთებული შეფასების მიხედვით, სახლების ღირებულება ბევრად მეტია, ვიდრე 15 000 ლარი, რომელიც მათზე გაიცა სახელმწიფოს მხრიდან დამწვარი სახლების საკომპენსაციოდ. აქედან გამომდინარე, მოსახლეობა მოითხოვს მათი დამწვარი სახლების სრულ კომპენსაციას სასამართლოს მეშვეობით.²⁹

ასევე პრობლემა დგას მტკიცებულებებთან დაკავშირებით. დამწვარი სახლის მეპატრონეების უმეტესობას, ომის დროს საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია დაეწვა. გარდა ამისა, მათ არ გააჩნიათ საოჯახო და საყოფაცხოვრებო ნივთების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მოსახლეობის დანარჩენ ნაწილს აწუხებს დაზიანებული სახლების აღდგენის პრობლემა. მათი სახლები აღადგინეს უხარისხოდ, ან საერთოდ არ აღუდგენიათ.³⁰ სოფელ ტყვიავეში წამოიჭრა საკითხი, რომ სარჩელი იქნეს შეტანილი იმ კომპანიის წინააღმდეგ, რომელმაც უშუალო იყო ჩართული აღდგენით სამუშაოებში.³¹

ამას გარდა, სოფელ გუგუტიანთკარის სკოლის შენობაში ცხოვრობს 3 ოჯახი, რომელთაც მიუხედავად იმისა, რომ არ შეუძლიათ სოფლიდან რამდენიმე მეტრით მოშორებულ საკუთარ სახლებში შესვლა, რადგან მათი სახლები დგას ოსური მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, არ მიუღიათ დევნილის სტატუსი.

სოფელ გუგუტიანთკარში მოვინახულეთ ის დევნილი ოჯახები, რომელთა სახლებიც საზღვრის მიღმა დარჩა და ამჯამად სოფლის სკოლის შენობაში ცხოვრობენ:

1. ბარამიძე ქეთევან;
2. გუგუტიშვილი დიმიტრი;
3. ბიძინაშვილი თინა;
4. გუგუტიშვილი ამირანი;
5. გუგუტიშვილი ჩორისი;
6. გუგუტიშვილი ეთერი

ამ ოჯახთა წევრები დროდადრო ცდილობენ, მოინახულონ საკუთარი სახლები, რომლებიც დარჩენილია არაკონტროლირებად ტერიტორიაზე. მიუხედავად პოლიციის გაფრთხილებებისა, რომ ვერ უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებას. ისინი მაინც ახერხებენ მოვლითი გზებით გადაიპარინ საკუთარ სახლებში რომ რაიმე მაინც წამოიღონ საკუთარი სახლებიდან.

²⁹ ერგნეთი

³⁰ სოფლები ტყვიავე, კარბი, გუგუტიანთკარი, კოშკა.

³¹ სოფელ ტყვიავეის ერთერთმა მოსახლემ განაცხადა, რომ მისი სახლის აღდგენითი სამუშაო ჩაატარა სამშენებლო კომპანია “სანი“-მ და აქვს სურვილი მოსთხოვოს მათ კომპენსაცია უხარისხოდ ჩატარებულ სამუშაოსათვის.

გარდა ზემოთხსენებულისა, დგას სოციალური შემწეობის საკითხიც. შიდა ქართლის ტერიტორიიდან დევნილი მოსახლეობა, რომელმაც მიიღო დევნილის სტატუსი, კერძო სექტორში ცხოვრების შემთხვევაში იღებს სოციალურ შემწეობას 28 ლარის ოდენობით, ხოლო კომპაქტურად ჩასახლების პუნქტებში ცხოვრების შემთხვევაში კი 24 ლარს. ამას გარდა, მეორეს მხრივ, არსებობს სოციალურად დაუცველი ოჯახის სტატუსი, რომელის გაცემის შემთხვევაში საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტო ოჯახის ყოველ პირველ წევრს უნიშნავს შემწეობას 30 ლარის ოდენობით, ხოლო ყოველ მომდევნო წევრს კი 24 ლარს. თუმცა, აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგადი პრაქტიკის მიხედვით პირები, რომელთაც აქვთ დევნილის სტატუსი და ამავდროულად აბსოლუტურად აკმაყოფილებენ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შემუშავებულ კრიტერიუმებს, ვერ იღებენ ამ უკანსკნელისაგან გაცემულ შემწეობას დევნილის შემწეობის პარალელურად. ამ შემთხვევაში, პირი დგება არჩევანის წინაშე, თუ რომელ შემწეობაზე განაცხადოს უარი. დევნილთა შესახებ კანონი პირდაპირ ახდენს ამ საკითხის რეგულირებას და მიუთითებს, რომ პირი, რომელსაც სურს მიიღოს დევნილის შემწეობა და ამავდროულად არის სოციალურად დაუცველი, მხოლოდ სოციალურ შემწეობაზე ნებაყოფლობით უარის თქმის შემთხვევაში მიიღებს დევნილის შემწეობას³².

**ვის მივმართეთ ზემოთ აღწერილ პრობლემებზე
სასწრაფო რეაბირებისათვის**

განცხადებებით მივმართეთ შემდეგ სამინისტროებს:

1. **სოფლის მეურნეობის სამინისტროს** – მოთხოვნა იყო სასაზღვრო სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის გამოყოფა. ამავე განცხადებაში დავსვით კითხვა აქვს თუ არა სამინისტროს რაიმე მიმდინარე პროგრამა, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნებოდა მოსახლეობის ხსენებული ინვენტარით უზრუნველყოფა.
2. **საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს** – განცხადება მდგომარეობდა შემდეგში: სასაზღვრო სოფლებში ჩატარებულმა მონიტორინგმა გვაჩვენა, რომ სოფლებში აგვისტოს ომის დროს მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალის საფუძველზე მათი საცხოვრებელი პირობები უკიდურესად დამძიმდა. მათ არ გააჩნიათ შემოსავლის არანაირი

³² დევნილთა შესახებ კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი

წყარო. მიუხედავად იმისა, რომ უკან დაბრუნებული პირები ახერხებენ ხილის მოკრეფას, მათ ექმნებათ მოსავლის დაბინავებისა და რეალიზაციის პრობლემა. აქედან გამომდინარე, ვთხოვეთ სამინისტროს ეცნობებინა, არის თუ არა შესაძლებელი სასაზღვრე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის მიერ მოყვანილი მოსავლის პენიტენციულ სისტემაში რეალიზება.

3. **გორის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგებელს** – განცხადება მდგომარეობდა შემდეგში: სოფელ ერგნეთში, კერძოდ დოიჯანთუბანში, სპეციალური კომისიის მიერ ჩატარდა დაზიანებული სახლების აღწერა, შეფასება და შედეგად, დაზიანებული სახლის აღსადგენი სხვადასხვა ოდენობის თანხის გაცემა კომისიის მიერ აღწერილი სახლების მეპატრონეებზე (ოჯახებზე). გამგებელს ვთხოვეთ იმ ნორმატიული აქტის მოწოდება, რომელიც საფუძვლად დაედო სპეციალური კომისიის შექმნას; იმ თარიღის მითითება, როდესაც დასახელებული სამუშაოები ჩატარდა; კრიტერიუმების მითითება, რის საფუძველზეც მოხდა დაზიანებების შეფასება; იმ ოჯახების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცა დასახელებული თანხა; და ბოლოს, კონკრეტული თანხის რაოდენობა, რომელიც ამ ოჯახებზე გაიცა.
4. **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (1)** – განცხადება მდგომარეობდა შემდეგში: ვთხოვეთ სამინისტროს იმ პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სოციალურად დაუცველი ჯგუფებისათვის სამედიცინო და სხვა სახის დახმარების გასაწევად; ამ პროგრამების მარეგულირებელი აქტები; ამ ნორმატიული აქტების ასლები.
5. **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (2)** – განცხადება მდგომარეობდა შემდეგში: სამინისტროს ვაცნობეთ, რომ სასაზღვრო სოფლების მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას გააჩნია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. მათი მატერიალური მდგომარეობა არის უკიდურესად მძიმე, რის გამოც მათ ხელი არ მიუწვდებათ შესაბამის სამედიცინო შემოწმებასა და სამედიცინო დახმარებასთან. სასაზღვრო სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა არ არის ინფორმირებული ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების შესახებ და ასევე არ იციან, თუ ვის მიმართონ კონკრეტულ პრობლემასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ვთხოვეთ, სამინისტროს მოეწოდებინა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით თუ რატომ შეწყდა 2009 წლის 1 სექტემბერს ჯანდაცვის რეფერალური პროგრამა; ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, აპირებს თუ არა სამინისტრო ამ პროგრამის განახლებას; იმ პროგრამების ჩამონათვალი, რომლის ფარგლებშიც 'ბუფერულ ზონაში' მცხოვრებ მოსახლეობას შეუძლია უფასო სამედიცინო მომსახურების მიღება; არსებობის შემთხვევაში, ამ მოცემული ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების ასლები; ინფორმირება იმასთან დაკავშირებით, აპირებს თუ არა სამინისტრო სპეციალური ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის შემუშავებამ, რომელიც ბუფერულ ზონაში მცხოვრები მოსახლეობის ჯანდაცვასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას.
6. **საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს** – განცხადება მდგომარეობდა შემდეგში: სამინისტროს ავუხსენით, რომ 2009 წლის 5/6 ოქტომბერს ე.წ. სასაზღვრო სოფლებში სამუშაო ვიზიტისას გამოკითხული

მოსახლეობის ნაწილმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მათ ეკუთვნით ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისი, ვინაიდან მიღებული აქვთ 70 000 ჟულაზე ნაკლები, მათზე ვაუჩერების გაცემა დროებით შეჩერებულია. აქვე აღსანიშნავია, რომ მოსახლეობა არ არის ინფორმირებული სადაზღვეო პოლისის საფუძველზე მისაღები სამედიცინო მომსახურების პაკეტის შესახებ. სამინისტროს ვთხოვეთ, ეცნობებინა გაცივმა თუ არა ვაუჩერები გორის სოციალური მომსახურების ცენტრის მიერ. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, ვთხოვეთ შესაბამისი ახსნა-განმარტების ჩვენთვის მოწოდება; ვთხოვეთ ინფორმაციის მოწოდება იმასთან დაკავშირებით, თუ როდის განახლდება ვაუჩერების გაცივების პროცესი; ასევე, ინფორმაცია იმ სამედიცინო მომსახურების სრული პაკეტის შესახებ, რომელიც შესაძლებელია ბენეფიციარმა მიიღოს სადაზღვეო პოლისის საფუძველზე.

რეკომენდაციები

- საქართველოს მთავრობამ პრიორიტეტულად აქციოს ადამიანთა უსაფრთხოების დაცვა ე.წ. სასაზღვრე სოფლებში³³, რადგან გასული წლის ანგარიშის შემდეგ (2008 წ. ნოემბრის მდგომარეობით) დიდად არაფერი შეცვლილა, პირიქით, რიგ შემთხვევაში გაუარესდა მათი მდგომარეობა;
- შეიქმნას და დამკვიდრდეს ახალი ტერმინი ომით დაზარალებული მოსახლეობა, რომელიც მოიცავს შემდეგ კატეგორიებს - დევნილები, უკანდაბრუნებული დევნილები, სოციალურად დაუცველი პირები, ყოველგვარ სტატუსს მიღმა

³³ 'ანგარიში 2008 წლის 12 ოქტომბრიდან გორის რაიონში დაბრუნებული მოსახლეობის - ე.წ. დაბრუნებულ დევნილთა პრობლემები 11 სოფლის მიხედვით: კარალეთი, ტყვიავი, კარბი, მერეთი, გუგუტიანთკარი, მელვრეკისი, ერგნეთი, ქსუისი, დისევი, კოშკები, ტირძნისი' - კავკასიის ქალთა ქსელი, ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი, ნოემბერი, 2008 წ. თბილისი, საქართველო (38 გვ.)

დარჩენილი, შემოსავლების გარეშე მყოფი პირები, ვისი ქონებაც განადგურდა 2008 წ. აგვისტოს ომის და წინა შეიარაღებული კონფლიქტების გამო.

- საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში შეიქმნას სპეციალური საპარლამენტო 'ადამიანთა უსაფრთხოების კომისია', რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებთან, დარგის სხვა სპეციალისტებთან ერთად შეისწავლის ე.წ. სასაზღვრე სოფლებში ადამიანთა უსაფრთხოების მდგომარეობას და უმოკლეს ვადაში გააკეთებს სპეციალურ ანგარიშს, რათა შემუშავდეს სპეციალური სახელმწიფო ხედვა, პროგრამა, კანონი და კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც დაიცავს და უზრუნველყოფს ადამიანთა უსაფრთხოებას.
- შეიქმნას ადამიანთა უსაფრთხოების დაცვის სპეციალური სახელმწიფო ფონდი, რომელიც დაეხმარება ომით დაზარალებულ მოსახლეობის³⁴ იმ ნაწილს, ვისაც არც დევნილის და არც სოციალურად დაუცველის სტატუსის შედეგად შემწეობის მიღება არ შეუძლია;
- სპეციალური სახელმწიფო ფონდიდან უნდა მოხდეს დამატებითი შემწეობის გაცემა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მკვიდრი მოსახლეობის ადგილზე დამაგრება, რომ არ დაიცალოს სასაზღვრო რეგიონი მოსახლეობისაგან.
- ყველაფერი გაკეთდეს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, რათა პრიორიტეტულად შეიქმნას ნორმალური, უსაფრთხო საცხოვრებელი პირობები ე.წ. სასაზღვრე რაიონებში და სოფლებში;
- ხელი შეეწყოს და შეიქმნას ახალი მიდგომები ომით დაზარალებული მოსახლეობის³⁵ ჯანმრთელობის რეაბილიტაციისა და აღდგენის მიმართულებით;
- შეიქმნას სპეციალური სახელმწიფო პროგრამა ომით დაზარალებული მოსახლეობის განათლების უზრუნველსაყოფად, დამატებითი სამუშაო ადგილები უმაღლესი განათლების მქონე პირთათვის ადგილებზე დასასაქმებლად.

³⁴ ომით დაზარალებული მოსახლეობა - დევნილები, უკანდაბრუნებული დევნილები, სოციალურად დაუცველი პირები, ყოველგვარ სტატუსს მიღმა დარჩენილი, შემოსავლების გარეშე მყოფი პირები, ვისი ქონებაც განადგურდა 2008 წ. აგვისტოს ომის და წინა შეიარაღებული კონფლიქტების გამო

³⁵ ომით დაზარალებული მოსახლეობა - დევნილები, უკანდაბრუნებული დევნილები, სოციალურად დაუცველი პირები, ყოველგვარ სტატუსს მიღმა დარჩენილი, შემოსავლების გარეშე მყოფი პირები, ვისი ქონებაც განადგურდა 2008 წ. აგვისტოს ომის და წინა შეიარაღებული კონფლიქტების გამო

ზემოთ აღნიშნულ გაგზავნილ განცხადებებზე ოფიციალური პასუხები დღემდე არ მიგვიღია, გარდა ერთი სამინისტროსი (სოფლის მეურნეობის სამინისტრო) მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ვადა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ამოიწურა.

გამოვთქვამთ იმედს, რომ ამ დოკუმენტში აღწერილი პრობლემები სათანადო რეაგირებას გამოიწვევს ყველა უწყებასა და თანამდებობის პირის მხრიდან, ვისაც ხელეწიფება და უფლებამოსილია გადაწყვიტოს ისინი.

ს ა კ ო ნ ტ ა ქ ო ო ინ ფ ო რ მ ა ც ი ა :
ა დ ა მ ი ა ნ ი ს უ ფ ლ ე ბ ა თ ა პ რ ი ო რ ი ტ ე ტ ი
კ ა ვ კ ა ს ი ი ს ქ ა ლ თ ა ქ ს ე ლ ი

მ ი ს ა მ ა რ თ ი : ლ . ა ს ა თ ი ა ნ ი ს № 10
თ ბ ი ლ ი ს ი 0 1 0 5 , ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ტ ე ლ . ფ ა ქ ს ი : (9 9 5 3 2) 9 8 8 6 9 5
ე ლ . ფ ო ს ტ ა : hrpgeorgia@gmail.com; cwn@cwn.ge
ვ ე ბ გ ვ ე რ დ ი : www.hrp.ge www.cwn.ge